№1824 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

1992-1993 წლების შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში არსებული სამარხებიდან ექსჰუმაციის შემდგომ იდენტიფიცირებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე

1. ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან მიმართოს საჭირო თანხა 1992-1993 წლების შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში არსებული სამარხებიდან ექსჰუმაციის შემდგომ იდენტიფიცირებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დაკრძალვასთან დაკავშირებული

მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**